საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

Contents

პროექტის შესახებ 4
მონიტორინგის მეთოდოლოგია 4
ძირითადი ტენდენციები: 4
მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი 6
პირველი არხი 6
რაოდენობრივი შედეგები 6
შინაარსობრივი შედეგები 7
გენდერული სტერეოტიპები პირველ არხზე 9
მთავარი არხი 10
რაოდენობრივი შედეგები 10
შინაარსობრივი შედეგები 11
გენდერული სტერეოტიპები მთავარ არხზე 12
რუსთავი 2 13
რაოდენობრივი შედეგები 13
შინაარსობრივი შედეგები 13
გენდერული სტერეოტიპები რუსთავი 2 ზე 15
ფორმულა ტვ 15
რაოდენობრივი შედეგები 15
შინაარსობრივი შედეგები 16
გენდერული სტერეოტიპები ფორმულა ტვ-ზე 17
კავკასია ტვ 17
რაოდენობრივი შედეგები 18
შინაარსობრივი შედეგები 18
გენდერული სტერეოტიპები ‘‘კავკასიაზე‘‘ 19
მაესტრო 19
რაოდენობრივი შედეგები 19
შინაარსობრივი შედეგები 20
გენდერული სტერეოტიპები მაესტროზე 21
პალიტრა ტვ 22
რაოდენობრივი შედეგები 22

შინაარსობრივი შედეგები 22
გენდერული სტერეოტიპები ‘‘პალიტრა ტვ’’-ზე 23
ტვ პირველი 23
რაოდენობრივი შედეგები 23
შინაარსობრივი შედეგები 24
გენდერული სტერეოტიპები ‘‘ტვ პირველზე’’ 26
იმედი 26
რაოდენობრივი შედეგები 26
შინაარსობრივი შედეგები 27
გენდერული სტერეოტიპები ‘‘იმედზე’’ 29
საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია 29
რაოდენობრივი შედეგები 29
შინაარსობრივი შედეგები 30
გენდერული სტერეოტიპები საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე 31
პოს ტვ 32
რაოდენობრივი შედეგები 32
გენდერული სტერეოტიპები ‘‘პოს-ტვ’’-ზე 35
ობიექტივი 35
რაოდენობრივი ანგარიში 35
შინაარსობრივი შედეგები 36
გენდერული სტერეოტიპები ‘‘ობიექტივზე’’ 37
მაესტრო 38
რაოდენობრივი შედეგები 38
შინაარსობრივი შედეგები 38
გენდერული სტერეოტიპები ‘‘მაესტროზე’’ 40

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროექტის „საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით აკვირდება ტელემედიის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2020 წლის 15 ივნისს და დასრულდება 2020 წლის დეკემბერში.

დაკვირვება მიმდინარეობს შემდეგ 12 სატელევიზო არხებზე: პირველი არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია მთავარი, რუსთავი 2, იმედი, ფორმულა, ტვ პირველი, მაესტრო, ობიექტივი, კავკასია, პალიტრა ტვ, პოსტ ტვ

მონიტორინგის მეთოდოლოგია

სატელევიზიო მთავარ საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტებია: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება. გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს. თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები).

ძირითადი ტენდენციები:

- პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. მას მოსდევს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო.“
- „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად იმედის ეთერში გაშუქდა (29 %), ყველაზე უარყოფითად კი „მთავარი არხის”-ის ეთერში (72 %).
- „ნაციონალურ მოძრაობის“ ყველაზე დადებითად “მთავარი არხის” ეთერში გაშუქდა, დათმობილი დროის 6%. ეს პარტია ყველაზე უარყოფითად (79%) „ობიექტივის“ ეთერში გაშუქდა.
- „ევროპული საქართველოს“ ყველზე მეტი დრო „ფორმულას “ ეთერში დაეთმო. დადებითმა გაშუქებამ დათმობილი დროის 1%-ზე ოდნავ მეტი შეადგინა.ყველაზე პოზიტიური გაშუქება პარტიას “ტვ პირველზე” და “კავკასიაზე “ ქონდა” (2 %) ეს პარტია ყველაზე უარყოფითად (38) „იმედი“-ის ეთერში გაშუქდა.
- „ლელო საქართველოსთვის“ ყველზე მეტი დრო „ტვ პირველის “ ეთერში დაეთმო. დადებითმა გაშუქებამ დათმობილი დროის 3% შეადგინა.ყველაზე პოზიტიური გაშუქება პარტიას “კავკასიაზე “ ქონდა” (21 %)
- მიხეილ სააკაშვილს ყველაზე მეტი დრო “იმედმა” დაუთმო. უარყოფითმა გაშუქებამ 74 % შეადგინა. ყველაზე ნეგატიურად მიხეილ სააკაშვილი “პოტ ტვ “ ზე გაშუქდა (80 %)
- ხელისუფლებისადმი ყველაზე მეტი კრიტიკული ტონი „მთავარ არხს“-ს აქვს. კრიტიკული სიუჟეტები ხელისუფლების მიმართ ყველაზე ხშირად ამ არხის ეთერში გადის.
- წინა წლების მსგავსად ობიექტივი ერთადერთი არხია, რომელიც კვლავ დიდ დროს უთმობს „პატრიოტთა ალიანსის“ გაშუქებას

- წინა წლების მსგავსად თითქმის ყველა არხზე პრობლემად რჩება სიღრმისეული, მოკვლევითი სიუჟეტების სიმცირე, რომლებიც დაკავშირებული იქნება საარჩევნო თემატიკასთან და ამომრჩეველს მეტად დაეხმარება ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.
- წინა წლებთან შედარებით გაზრდილია ეთიკური დარღვევების ფაქტები
- წინა წლების მსგავსად თითქმის ყველა არხზე პრობლემას წარმოადგენს გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი განცხადებების უცვლელად და უკომენტაროდ გაშუქება.
- მთელი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა სექსისტური განცხადებების ტირაჟირების რამდენიმე შემთხვევა. სექსისტური განცხადების ავტორი პოლიტიკოსებთან ერთად ჟურნალისტებიც იყვნენ.

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი

პირველი არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მოამბე 21 საათზე“ და გადაცემა „ახალ კვირას“. მთელი პერიოდის განმავლობაში „მოამბეში“ ყველაზე მეტი დრო “ქართულ ოცნებას” დაეთმო. ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი, გიორგი გახარია გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 12 % პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად კი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც დათმობლი დროის 47 % ნეგატიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბების გაშუქების დროს მეტწილად დაცული იყო ეთიკური სტანდარტები. საარჩევნო სუბიექტების, პოლიტიკური პარტიების აქტივობა ძირითადად შუქდებოდა ნეიტრალურად. მონიტორინგის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო პოლიტიკა ხელისუფლებისადმი ლოიალური იყო. ამასთან, მთავარ პრობლემად რჩება სიუჟეტების ზედაპირულობა, სიღრმისეული რეპორტაჟების ნაკლებობა. პირველ არხს, სამონიტორინგო პერიოდში თითქმის არ ქონია მწვავე ექსკლუზიური მასალა -- არ გამოვლენილა კორუფციული და ადამიანის უფლებების შემლახავი ფაქტები. ზოგ შემთხვევებში ბალანსი ფორმალურად იყო დაცული. მონიტორინგის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც "მოამბე" ავლენდა "ქართული ოცნებისადმი' მიკერძოებას და არღვევდა ეთიკურ პრინციპებს. მაგალითად, 20-21 ივნისის მოვლენებიდან მიძღვნილი აქციის შესახებ სიუჟეტი და ჩართვა. ჟურნალისტი სიუჟეტში ხელისუფლების პოზიციიდან წარმოგვიდგენს 2019 წლის 20 ივნისს განვითარებულ მოვლენებს, ოპოზიციონერი დეპუტატების კომენტარებს კი ქართული ოცნების წარმომადგენლების მიერ 1 წლის წინ გაკეთებული კომენტარები მოსდევს, რომლებიც ოპოზიციის მხრიდან ორგანიზებულ ძალადობაზე საუბრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტში მოყვანილია დაშავებული მოქალაქეების სტატისტიკა, მათ შორის მედიის წარმომადგენლებისა, მაყურებელმა ვერ იხილა იმ მძიმე დაზიანების კადრები, რაც სხვადასხვა მედიასაშუალების ჟურნალისტებმა მიიღეს იმ ღამეს რეზინის ტყვიების დამიზნებით სროლის შედეგად. აქცენტი მაინც აქციის მონაწილეთა მხრიდან სამართალდამცველებზე თავდასხმასა და კანონდარღვევაზე კეთდებოდა. არაფერია ნათქვამი ხელისუფლების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებზე, დამიზნებით სროლასა და სხვა დარღვევებზე და არ არის ნაჩვენები სამართალდამცავების მხრიდან ძალადობის მომიტინგეების დაზიანების ამსახველი მძიმე კადრები. ასევე არ უხსენებიათ, რომ მიტინგის დაშლილას ორმა ახალგაზრდამ თვალი დაკარგა. ამ ფაქტის შესახებ წამყვანმა და ჟურნალისტმაც აღნიშნეს, რომ "დაშავებულებს შორის ორმა ადამიანმა ცალ თვალში მხედველობა სრულად დაკარგა" სიუჟეტის ავტორი აჩვენებს 21 ივნისის გამთენიისას აქციის მონაწილეების მიერ პოლიციის მანქანის დაზიანების ფაქტს, თუმცა არ გვიჩვენებს, როგორ უსწორდებოდნენ სამართალდამცველები მშვიდობიან მოქალაქეებს. ჟურნალისტი ერთი მხრივ არ ახსენებს სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებს და მხოლოდ მომიტინგეების მხრიდან ჩადენილ დარღვევებზე საუბრობს. ჩართვაზე ჟურნალისტი აქციაზე მისულ პოლიტიკოსებს ეკითხება: "ეთანხმებით თუ არა ფორმულირებას, რომ გულწრფელი პროტესტი გამოყენებულ იქნა პოლიტიკური ინტერესებისთვის" - ეს ქართული ოცნების პოზიციის გამეორებაა.მართლია, საპროტესტო აქცია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა

სრულად გადასცა პირდაპირ ეთერში, აქციიდან ჩართვისას ჟურნალისტმა აქციის არც ერთი მონაწილე არ ჩართო (აქციის მონაწილეების პოზიციები შემდეგ ჩართვაში გავიდა).

პირველი არხი პოზიტიურად წარმოაჩენდა აღმასრულებელ ხელისუფლებას სამთავრობო გადაწყვეტილებების და სახელმწიფო პროგრამების დადებით ტონში გაშუქების გზით. მათ შორის, განსაკუთრებით პოზიტიურად აშუქებდა პრემიერ- მინისტრ გიორგი გახარიას. მაგალითად, 17 ივნისის 7 წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა გიორგი გახარიას საარჩევნო გზავნილებს. როგორც წამყვანები, ისე სიუჟეტის ავტორი მხოლოდ ქართული ოცნების საარჩევნო მესიჯებზე, დაპირებებსა და გეგმებზე საუბრობენ და როგორც გახარიას, ისე მმართველ გუნდს მხოლოდ დადებით კონტექსტში წარმოაჩენენ. არ ისმის არც ერთი კრიტიკული კითხვა გახარიას მისამართით, არ არის წამოჭრილი პრობლემა, რომელიც შეიძლება მათი მმართველობის დროს გამოჩნდა. "რატომ ქართული ოცნება - საკუთარი გუნდის უპირატესობებზე საუბრისას [გახარიას] რამდენიმე არგუმენტი აქვს: 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ძალის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის მზრუნველობა, ჰუმანურობა და ის, რომ ამ ქვეყანას გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა მისცა". ამასთან, სიუჟეტში უარყოფითად წარმოჩენილია ოპოზიცია. "პრემიერს, საკუთარი გუნდის სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტი აქვს. როგორც თავად აღნიშნავს, ქართული ოცნება, ოპონენტებისგან განსხვავებით, უფრო მეტად ზრუნავს სახელმწიფოზე. ამიტომ უკვირს გიორგი გახარიას, როგორ შეუძლია ოპოზიციას, საზღვრებს გარეთ საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის ისე გატანა, რომ ხელისუფლებათან ერთად, დარტყმა საკუთარ ქვეყანასაც მიაყენოს", ამბობს ჟურნალისტი. მიუხედავად ჟურნალისტის თითქოს ნეიტრალური ლექსიკისა, აქცენტი ოპოზიციის, ქართული ოცნების აზრით, არასწორ ქმედებებზე კეთდება. დასაბალანსებლად 2 ოპოზიციონერი დეპუტატს ჯამში, 40 წამი დაეთმო და საბოლოოდ, მათი პოზიცია ქართული ოცნების ლიდერების, ირაკლი კობახიძის და კახა კალაძის კომენტარებით განეიტრალდა, რომელთაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდზე და ოპოზიციის დეტრუქციულობაზე გააკეთეს აქცენტი.

18 ივნისის 6 წუთიანი სიუჟეტი მიეძღვნა **ჯანდაცვის სამინისტროს ერთწლიანი ანგარიშის პრეზენტაციას. სადაც** მხოლოდ დადებად იყო წარმოჩენილი როგორც მინისტრის ასევე მთავრობის მუშაობა. ჟურნალისტი დადებით ტონში აღწერდა როგორ ეფექტურად ებრძვის ჯანდაცვის სამინისტრო კორონავირუსს. 6 წუთიან სიუჟეტში არ გაჟღერებულა განსხვავებული მოსაზრება, არ დასმულა კრიტიკული კითხვა სისტემაში არსებულ ხარვეზებზე. "ზრუნვის სამინისტრო",-ასე შეაფასა ჯანდაცვის უწყება პრემიერ-მინისტრმა იმავე სიუჟეტში. გიორგი გახარია დარწმუნებულია, რომ ვირუსის მეორე ტალღის შემთხვევაში სისტემა რეაგირებას ისევე ეფექტურად შეძლეს, როგორც აქამდე. სიუჟეტი სრულდება დაპირებით, რომ წლის განმავლობაში საცხოვრებელი ფართით ჯამში 2500 მდე ოჯახი დაკმაყოფილდება.

მანიპულაციური სიუჟეტი გავიდა 15 ივნისს პირველი არხის ეთერში. სიუჟეტი "რესპუბლიკელი კონგრესმენის განცხადება" [საზოგადოებრივი მაუწყებლის მტკიცებით](), აშშ-ის კონგრესის რესპუბლიკური პარტიის სამუშაო ჯგუფის ანგარიშში ნახსენები წინადადება "ბიძინა ივანიშვილი პუტინის მოკავშირეა" კონტექსტიდან "აბსოლუტურად არის ამოვარდნილი".

საინფორმაციო გამოშვების წამყვანი და რეპორტიორი, ვინც ამბის დეტალებს ყვება, ყურადღებას არ ამახვილებენ ამერიკელი კონგრესმენის განცხადების სრულ შინაარსზე და მმართველი გუნდის სასურველ მესიჯს იმეორებენ. ისინი არ ცდილობენ, გადაამოწმონ ან სრულად აჩვენონ მაყურებელს კონგრესმენის განცხადება. სიუჟეტში მანიპულაციურად ხდება "ქართული ოცნების " დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილისთვის პუტინის მოკავშირეობის" განეიტრალება აშშ-სა და საქართველოს შორის პარტნიორულ ურთიერთობებზე აქცენტით.

"მე არ დამიწერია ეს წერილი, ჩვენ ტექნიკური ექსპერტები გვყავდა მოწვეული - ასეთია 13 კონგრესმენიდან ერთის მოსაზრება 180-გვერდიან დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელსაც ამ წუთისთვის არანაირი იურიდიული და ოფიციალური ძალა არ აქვს", - ამბობს ჟურნალისტი ტექსტში. რესპუბლიკელი კონგრესმენის სრული ციტატა კი ასეთია: "ეს ნაწილი მე არ დამიწერია, ჩვენ ტექნიკური ექსპერტები გვყავდა, რომლებიც შექმნაში გვეხმარებოდნენ. მე სტრატეგიულ დონეზე ვაგებ პასუხს ამ დოკუმენტზე. ჩვენ გვსურს ახლო ურთიერთობა საქართველოსთან, საქართველო ჩვენი მეგობარია, ქართველი ხალხი ჩვენი მეგობარია, ისევე, როგორც უკრაინა და უკრაინელი ხალხი. ჩვენ გვინდა, რომ ისინი იყვნენ დასავლური გუნდის წევრები. ჩვენ გვინდა დასავლური ღირებულებების მქონე გუნდი და ქვეყნები, რომლებიც დგანან ჩვენ გვერდით და ჩვენ ვდგავართ მათ გვერდით – ასეთია საქართველო და უკრაინა, თუმცა, ასევე ვიცით, რომ პუტინსა და რუს მაღალჩინოსნებს ამ განსხვავებულ ქვეყნებში ჰყავთ მოკავშირეები, რომლებიც ესწრაფიან იმ ღირებულებების ძირის გამოთხრას, რისიც ჩვენ გვჯერა".

გენდერული სტერეოტიპები პირველ არხზე

17 აგვისტოს, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა სიუჟეტი **"ქართული ოცნების საარჩევნო კამპანია".**ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის შესახებ, უფრო კონკრეტულად, სიუჟეტი შეეხებოდა ქალაქ რუსთავში მაჟორიტარობის კანდიატის ნინო ლაცაბიძის წარდგენას. სიუჟეტის ავტორმა, ნინო ლაცაბიძის დახასიათებისას თქვა ასეთი რამ: **„და ბოლოს, ის არის 4 შვილის დედა". "ნინო ლაცაბიძე არის რუსთაველი, რუსთავში დაბადებული და გაზრდილი, ის ამჯერად არის თბილისის საკრებულოს წევრი. ის არის პროფესიით დიპლომატი დ ააცხადებს, რომ ის კარგად იცნობს რუსთაველთა პრობლემებს და მზად არის გამოწვევებისთვის და ბოლოს, ის არის ოთხი შვილის დედა"**

მართალია, სიუჟეტის ავტორს ნინო ლაცაბიძეზე, როგორც მრავალშვიიან დედაზე არ გაუკეთებია მთავარი აქცენტი, როგორც ეს მისი წარდგენისას იყო, მაშინ როდესაც, „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატები დაასახელა, მაგრამ, მისი დახასიათებისა და კვალიფიკაციების ჩამონათვალში, თქმა იმის, რომ „და ბოლოს, ის არის 4 შვილის დედა“, არის სექსისტური და აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა დედობაა.

მთავარი არხი

რაოდენობრივი შედეგები

მთავარი არხის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 9 საათზე, “შაბათის მთავარს” და “პოსტ ფაქტუმს”.
ყველაზე მეტი დრო ამ არხის ეთერში მთავრობას დაეთმო და დათმობილი დროის 72 % ნეგატიური იყო. ყველაზე უარყოფითად მთავარი არხის ეთერში ადგილობრივი მთავრობა გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 78 % უარყოფითი იყო. მთავარი არხი ყველაზე დადებითად ნაციონალური მოძრაობას აშუქებდა - მისთვის დათმობილი დროის 6 % დადებითი ტონით.



შინაარსობრივი შედეგები

მთავარი არხი ხშირად და მწვავედ აკრიტიკებს ხელისუფლებას და მმართველ პარტიას. წინა საარჩევნო პერიოდში მთავარი არხი ძირითად აქცენტს ბიძინა ივანიშვილის, "ქართული ოცნების" და ხელისუფლების უარყოფით გაშუქებაზე აკეთებს. ამასთან, ის აშუქებს საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილს თითქმის ყველა აქტივობას და ნაციონალურ მოძრაობას მთავარ ოპოზიციურ ძალას უწოდებს. მის ეთერში ექსკლუზიური სიღრმისეული რეპორტაჟები გადის, ხშირად შუქდება სახელისუფლებო კორუფციის და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შსს-ზე და გამოუძიებელ საქმეებზე. თუმცა, "მოდარაჯე ძაღლის" ფუნქციის შესრულებას თან ახლავს ეთიკური დარღვევის ფაქტებიც.
მთავარი არხის ჟურნალისტები არ ერიდებიან ცინიკური, დამცინავი, ხშირად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებას. "ცვილის ფიგურათა მუზეუმი, -აი, რას გავდა "ქართული ოცნების" პარტიული ყრილობა. მომღიმარი ცვილის ფიგურები, რომელთაც მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა აქვს და სიცარიელეს ავსებენ", --- ასეთი ცინიკური და ირონიული იყო ჟურნალისტის ტექსტი 25 ივლისს, გადაცემა "შაბათის მთავარში" გასულ სიუჟეტში "ხელებიც დამიბანია", რომელიც "ქართული ოცნების" პარტიულ ყრილობას მიეძღვნა. ტექსტებით, კადრებით, მუსიკითა და ანიმაციური თუ მხატვრული ფილმების ნაწყვეტებით გაჯერებული მასალა მკვეთრად უარყოფითად წარმოაჩენს მმართველი პარტიის წევრებს და ყრილობაზე დამსწრე სტუმრებს. "ბიძინა ივანიშვილი ისევ ქართული კულტურისა და პოლიტიკის მეორადებში იქექება"-- სიუჟეტის ავტორის თქმით, ბიძინა ივანიშვილი 8 წელი ხელიუფლებაშია და მისი მთავრობის უმოქმედობის გამო მოკლულ მშიერ და გაუბედურებულ ხალხზე თვითონ პასიხისმგებლობას არასოდეს იღებს.

მთავარი არხის ეთერში გასული სიუჟეტები ხშირად დაუბალანსებელია და ოპოზიციის წარმომომადგენელთა შეფასებები და ბრალდებები ფაქტების სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად, 20 ივნისს გადაცემა "შაბათის მთავარში" გავიდა სიუჟეტი საქართველოში კოვიდსტატუსის შესაძლო გაყალბების შესახებ. სიუჟეტის შესავალში წამყვანი მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ ხელისუფლება ცდილობს კორონავირუსით გარდაცვლილთა სტატისტიკის გაყალბებას. "ერთი მხრივ, ხელისუფლება თავს იწონებს კორონავირუსთან ეფექტური ბრძოლით, მეორე მხრივ კი სიკვდილიანობის სტატისტიკის ხელოვნურად გაზრდას ცდილობენ და ამაში ვიღაცები ფულსაც იხდიან. რამდენიმე რეგიონში მთავარმა იპოვა ოჯახები, ჭირისუფლები, რომლებთანაც მივიდნენ და ფულის სანაცვლოდ შესთავაზეს მათი ახლადგარდაცვლილი ოჯახის წევრები კოვიდის მსხვერპლებად გაეფორმებინათ. ეს კი, ერთ რამეზე მიუთითებს, რომ ხლისუფლება პოლიტიკურ პროცესებს ისევ ჩიხში შეიყვანს, მმართველი გუნდი სწორედ კორონაისტერიით შეეცდება მისი პოზიციების გამყარებას, ისევ საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს და არჩევნებსაც ჩაატარებს იმ დროს და იმ ფორმით, რომელიც მისთვის იქნება მისაღები ან საერთოდაც არ ჩაატარებს". ეს ინფორმაცია არ იყო

საკმარისად გადამოწმებული და დადასტურებული, არ ჩანდა სიუჟეტში არც ერთი სანდო წყარო, ან მტკიცებულება, რაც ამბის რეალურობას დაამტკიცებდა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების მონაყოლი ტოვებდა გაგონილი ჭორების შთაბეჭდილებას, ჟურნალისტმა არ სცადა ოფიციალურ წყაროსთან ინფორმაციის გადამოწმება და პირიქით, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ექსპერტებად წარმოადგინა.

მთავარი არხის საინფორმაციო გამოშვებაში შეიმჩნევა, რომ ჟურნალისტები ფაქტების სახით იმეორებენ ე. წ. "მესიჯბოქსებს", რომლებიც თავდაპირველად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა გააჟღერეს, -- რომ "ქართულმა ოცნებამ 2012 წელს კრიმინალურ სამყაროსთან გააფორმა კონტრაქტი", რაც არის მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლება კრიმინალს მფარველობს და მათთან თანამშრომლობს. "ქართულმა ოცნებამ" დაიწყო საარჩევნო კამპანია, დაასახელა კანდიდატები და კასტინგი გამოაცხადა ზონდერებზეც. ძალადობა, დაშინება და შანტაჟი ამ არჩევნებზეც ივანიშვილის მთავარი დასაყრდენი იქნება"-- ამბობს ჟურნალისტი 1 აგვისტოს გასულ სიუჟეტში , რომელიც ეხება მათი ინფორმაციით, ქართული ოცნების მიერ სპორტსმენების ე.წ. ზონდერებად დაქირავებას, რომლებიც არჩევნების პერიოდში ოპოზიციის ფიზიკური დევნისთვის უნდა გამოეყენებინათ. სიუჟეტი ეყრდობა ერთი ადამიანი მონაყოლს, რომელიც ამბობს, რომ მმართველო გუნდი, კონკრეტულად კი აჭარის მთავრობის მეთაურის მამა, პოლიციელი დავით რიჟვაძე მათ გადაბირებას და მოსყიდვას ცდილობდა, მას შემდეგ კი რაც უარი მიიღო, ძმები წულუკიძეები დააკავეს. სიუჟეტში აღწერილი ამბავი სათანადოდ არ არის გამყარებეული ფაქტებით და ეყრდნობა მხოლოდ ერთი წყაროს მონაყოლს. მიუხედავად ამისა, სიუჟეტი ბრალდების ადრესატთან სათანადო გადამოწმების გარეშე გავიდა ეთერში.

გენდერული სტერეოტიპები მთავარ არხზე

1-ელი ივლისის "მთავარის" სიუჟეტი - "მეტი ქალი პოლიტიკაში"სიუჟეტში, რომლის მთავარი თემაც ქალთა კვოტირების საკითხია, ჟურნალისტი ამბობს, რომრადიკალური იყო "ლეიბორისტული" პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი მმართველი პარტიის ინიციატივას დისკრიმინაციად აფასებს:
"მოგვადგებიან სხვა წარმომადგენლებიც - საშუალო სქესი, ლგბტ, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი და გვეტყვიან, რომ დისკრიმინაციას ეწევით თქვენ, იქ მიეცით კვოტა და ჩვენ რა დავაშავეთ. ეს იქნება სრული საგიჟეთი. ეხლა ხომ წარმოგიდგენიათ, ამერიკის კონგრესში ვიღაცამ შეიტანოს კონგრესის და სენატის კვოტირების სქესობრივი ვარიანტი. კანცელარიამდეც კი არ მიუშვებენ ასეთ დოკუმენტს, მაგრამ ქვეყანაში, სადაც დეპუტატებად არიან კილაძეები, გუგული მაღრაძეები, ენძელები თუ ყოჩივარდები, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსალოდნელია.", -- აცხადებს ნათელაშვილი მთავარი არხის ეთერში. მედია ვალდებულია ასეთი განცხადებების ტირაჟირება არ მოახდინოს. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს შესაძლოა მოხდეს განცხადების ეთერში გაშვება, თუმცა რედაქცია მას უნდა

გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ჰომოფობიური და სექსისტური განცხადებაა და მიუღებელია. მთავარი არხი ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ 9 საათიან „კურიერს“.
ყველაზე მეტი დრო “ქართულ ოცნებას” დაეთმო ყველაზე უარყოფითად “პატრიოტთა ალიანსი” წარმოჩინდა, დათმობილი დროის 67 % ნეგატიური ტონით.



შინაარსობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება ძირითადად ნეიტრალურად, ეთიკური ნორმების დაცვით აშუქებდა მიმდინარე საზოგადოებრივ -პოლიტიკურ მოვლენებს.
ჟურნალისტები არ იყენებდნენ შეურაცხმყოფელ, დამცინავ ლექსიკას პოლიტიკოსების მიმართ. ამ არხზე დაფიქსირებული უარყოფითი ან დადებითი ტონი ძირითადად რესპონდეტებიდან მომდინარეობს, კერძოდ, როცა ერთი პოლიტიკოსი საუბრობს სხვაზე.
როგორც ცნობილია, 2019 წელს ტელეკომპანია რუსთავი 2 -ის მფლობელი შეიცვალა და შესაბამისად, შეცვლილია სარედაქციო გუნდი, რაც აისახა მონიტორინგის შედეგებზე.

სამონიტორნგო პერიოდში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია, თუ წინა მონიტორინგის დროს ხელისუფლების მამხილებელი ნიუსები იყო საინფორმაციო გამოშვების გამხსნელი, ეხლა ძირითადი თემები გახმაურებული კრიმინალური საქმეების ექსკლუზიური დეტალების გაშუქებაა.

საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის აღარ გვხვდება ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟები. ძირითადად შუქდება მოვლენები, მათ შორის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შინაარსის, თუმცა მაყურებელს პრაქტიკულად არ სთავაზობს თავის მოძიებულ მასალებს კორუფციის, ნეპოტიზმის თანამდებობის პირთა არაჯანსაღი ბიზნესინტერესების შესახებ და მიყვება პოლიტიკოსების მიერ შექმნილ დღის წესრიგს. თუმცა ეთიკური პრინციპების ფორმალურად დაცვას მეტ-ნაკლებად მაინც ახერხებს, მაგრამ არის პრობლემებიც

მონიტორინგის პერიოდში რუსთავი 2 ის ეთერში რამდენჯერმე დაფიქსირდა ბალანსის დარღვევა.
ბალანსი ძირითადად ირღვეოდა ე.წ კადრ-სინქრონებში და ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგალითად, 27 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა ინფორმაცია მთავრობის ინიციატივაზე, რომლის მიხედვით "არცერთი მშენებლობა არ დარჩება დაუსრულებელი". 100 მილიონიან საგრანტო აუქციონის შესახებ მხოლოდ მთავრობის წევრთა კომენტარებია წარმოდგენილი, რომელიც პოზიტიურად აფასებენ ინიციატივას და არ ჩანს არც ოპოზიციის და არც ექსპერტების მოსაზრებები ახალ ინიციატივაზე.
ბალანსი დაირღვა ასევე სიუჟეტში, რომელიც "კურიერში " 8 ივლისს გავიდა. ჟურნალისტის თქმით, ის ფლობს ინფორმაციას კოალიციის „ძალა ერთობაშია" შესაძლო დაშლისა და საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის სავარაუდო პარტნიორობის შესახებ. კოალიციურ საპარლამენტო სიაში, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობა" ჩამოაყალიბებს, სავარაუდოდ, პაატა ბურჭულაძე, ნატო ჩხეიძე და გიორგი კაპანაძე იქნებიან. „ბურჭულაძის თანაპარტიელს, "კურიერის" ინფორმაციით, სიაში ადგილი გარანტირებული აქვს, ის მოძრაობა "სახელმწიფო ხალხისთვის" თავმჯდომარეა.
უნდა ითქვას, რომ ყველა კანდიდატის დასახელების შემდეგ ჟურნალისტი ამ კანდიდატების გარშემო გვაწოდებს მხოლოდ უარყოფით ინფორმაციას.
„მსოფლიო ბანი და მოძრაობა "სახელმწიფო ხალხისთვის" დამფუძნებელი პოლიტიკაში 2015 წელს გამოჩნდა, თუმცა უკვე 2016 წელს პარტია და პოლიტიკა ერთდროულად დატოვა. პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასაც იღებდა, მას ამომრჩეველთა 3,45 %-მა დაუჭირა მხარი. თავად ბურჭულაძით და ფონდ "იავნანას" საქმიანობით კი გამოძიება დაინტერესდა და საქმე ამ დრომდე დახურული არ არის, პროკურატურა მსოფლიო ბანს თანხების მითვისება-გაფლაგვას ედავებოდა, ამობს ჟურნალისტი. ცალსახად ნეგატიური ინფორმაცია გავიდა მეორე კანდიდატზე, ნატო ჩხეიძეზეც: „ნატო ჩხეიძე ამჟამად პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატია, მანამდე კი "პატრიოტთა ალიანსის" წევრი იყო

და თანაგუნდელებთან ერთად, არაერთხელ იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში, ხვდებოდა დუმის იმ დეპუტატებს, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტზე კრემლისტური შეხედულებებით გამოირჩევიან. ნატო ჩხეიძე ტელეკომპანია "იბერიას" თანადამფუძნებელიცაა, რომლის თანამშრომლებიც 2018 წლიდან მენეჯმენტის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების დარღვევაზე საუბრობდნენ და ჟურნალისტები ამ დრომდე სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ითხოვენ." აღნიშნულ ბრალდებებზე ნატო ჩხეიძის კომენტარი არ გასულა, მიუხედავად იმისა, რომ ჩანს, ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა. ასევე არ უხსენებია ჟურნალისტს ტელეკომპანიის მფლობელი ოქუაშვილი, რომელიც აცხადებდა, რომ "იბერია "ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის გამო დაიხურა და თავად იძულებული გახდა ქვეყნიდან წასულიყო. ასევე მაკომპრომეტირებელი მასალა მოგვაწოდა ჟურნალისტმა პრესა ჯი-ის ხელმძღვანელ გიორგი კაპანაძეზეც: „ჟურნალისტი, რომელიც პოლიტიკაში მოსვლისთვის მზადაა, "კურიერთან" ადასტურებს, რომ მაშინ, როდესაც "რუსთავი 2-ში" ცნობილი მოვლენები ვითარდებოდა და შენობაში უშიშროების სამსახური შემოვიდა, ის ამ უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი იყო.' სიუჟეტში გამოთქმული ბრალდებების ადრესატებიდან, კომენტარი მხოლოდ გიორგი კაპანაძემ გააკეთა, რის გამოც დაირღვა ბალანსი პაატა ბურჭულაძისა და ნატო ჩხეიძის საზიანოდ.

რუსთავი 2 -ის ეთერში გაცილებით სისტემური ხასიათი ქონდა ბალანსის ფორმალურ დაცვას, როცა თითქმის ყველა სუბიექტის კომენტარი, მოსაზრებაა მოცემული საკითხთან დაკავშირებით, თუმცა დომინანტური მნიშვნელობა ირიბად მინიჭებული ქონდა მთავრობის ან მმართველი პარტიის მოსაზრებებს.

ამის ფონზე, არის შემთხვევა, როცა მაგალითად, 30 აგვისტოს გააშუქეს ერთ-ერთ უკრაინულ არხზე ანალიტიკოსების მსჯელობა მიხეილ სააკაშვილზე. კერძოდ, გადაცემიდან ნათარგმნი იყო უკრაინელი ანალიტიკოების ფრაზები "სააკაშვილი მოხეტიალე ბოშასავით იცვლის ქვეყნებს"; "ორი კურდღლის მადევარი და ხელმოცარული ავანტიურისტია" და ა.შ. გაუგებარი დარჩა, რატომ იყო მნიშვნელოვანი აღნიშნული ანალიტიკოსების კონკრეტულად ამ მოსაზრებების გაშუქება.

გენდერული სტერეოტიპები რუსთავი 2 ზე

მონიტორინგის პერიოდში რუთავი 2 ზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაშუქებულა.

ფორმულა ტვ

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ ტვ ფორმულას მთავარ საინფორმაციო გამოშვებას "ფორმულა ნიუსი", "შაბათის ფორმულა" და გადაცემა "დროებას"

მთელი პერიოდის განმავლობაში ფორმულაზე ყველაზე მეტი დრო "ქართულ ოცნებას" დაეთმო და დათმობილი დროის 43 % ნეგატიური იყო. ყველაზე უარყოფითად კი ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა, რადგან მისთვის დათმობილი დროის 51 % უარყოფითი იყო.



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია ფორმულას მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა შუქდება, უმეტესწილად დაცული იყო ეთიკური სტანდარტებიც. თუმცა ნაკლებად გვხვდება სიღრმისეული ექსკლუზიური მასალები.

ფორმულა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არხია. ასევე აშკარად შესამჩნევია ლოიალური დამოკიდებულება „ევროპული საქართველოს მიმართ". განსაკუთრებით უარყოფითად საინფორმაციო გამოშვებებში ბიძინა ივანიშვილი შუქდება. ჩნდება განცდა, რომ ყველა მოვლენის უკან, რომელიც "ქართული ოცნების" ან ხელისუფლების სახელით ხდება, ივანიშვილი დგას. მას ხშირად მოიხსენიებენ ოლიგარქად და აღმასრულებელ ხელისუფლებას კი ბიძინა ივანიშვილის მთავრობად. იმ შემთხვევაშიც კი, როცა თემა პირდაპირ არ არის დაკავშირებული მმართველი პარტიის თავმჯდომარესთან და მთავარ

პასუხისმგებელ პირად ივანიშვილია წარმოდგენილი. ბიძინა ივანიშვილზე და "ქართულ ოცნებაზე" ზოგჯერ დაუსაბუთებელი სიუჟეტებიც გავიდა, სადაც "ქართული ოცნების" და ბიძინა ივანიშვილის მიმართ ისეთი ბრალდებებია გაჟღერებული, რისი არგუმენტაცია და მტკიცებულებაც სიუჟეტში არ არის. ერთი ასეთი სიუჟეტი 9 აგვიტოს გავიდა, სადაც ოპოზიციის შეაფასებით, ქვეყანაში კრიმინალის აღზევება ორგანიზებულ დანაშაულის ჯგუფის წევრებსა და სახელმწიფოს შორის დადებულმა კონტრაქტმა გამოიწვია. "როდესაც სახელმწიფო არის დაკონტრაქტებული კრიმინალთან, როდესაც შავ სამყაროს იყენებ პოლიტიკური ოპონენტებისთვის ანგარიშის გასასწორებლად, იყენებ იმისათვის რომ ხმები მიიღო შავი სამყაროს საშუალებით არჩევნებში, შედეგად გვაქვს ის რაც გვაქვს. ძალადობრივი გარემო ამ ქვეყნად შექმნა ბიძინა ივანიშვილმა". თუმცა სიუჟეტში არ ჩანდა ამ ბრალდების შესაბამისი მტკიცებულებები და ინფორმაცია არ იყო გამყარებული ფაქტებით, რაც ეთიკური სტანდარტის დარღვევაა.

დაუბალანსებელი იყო სიუჟეტი რომელიც ტვ ფორმულას ეთერში 7 აგვისტოს გავიდა და ჰააგაში მიმდინარე გამოძიებას ეხება. ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალს მიხეილ სააკაშვილმა დამოუკიდებელი ექსპერტების ანგარიში გადასცა. ამასთან ექსპერტები და ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებას მიმდინარე საქმეზე უყურადღებობასა და უმოქმედობაში ადანაშაულებენ. სიუჟეტში გაჟღერებულ მძიმე ბრალდებაზე, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად, ქვეყნის ინტერესების საზიანოდ არ აწვდის გამოძიებას მნიშვნელოვან დოკუმეტაციას, ხელისუფლების წარმომადგენლის საპასუხო კომენტარი არ გავიდა.

ცინიკური და ირონიული ტექსტი, მუსიკა და კადრები გამოიყენა ჟურნალისტმა 26 ივლისს დროებაში გასულ სიუჟეტში " ელიტური უძრაობა ". სიუჟეტი, რომელიც "ქართული ოცნების" მაჟორიტაორი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენას მიეძღვნა, იყო ირონიული და დამცინავი. "ასე იცავენ საკუთარ ქონებას მაგალითად ბექა ოდიშარია და დავით სონღულაშვილი. პროცენტიანი ვალი რას ნიშნავს, სამწუხაროდ, ყოველმა მეორე ქართველმა ვიცით და რამდენს ამ ვალების გამო ჭერიც დაუკარგავს. მევახშეობა არც ოდიშარიასთვის და არც სონღულაშვილისთვის არის უცხო რამ. ორივე ასესხებს 100-ათასობთ დოლარს და პროცენტის სახით არანაკლებ სარგებელს შეულობენ. რაში სჭირდებათ ასეთ მდიდარ ადამიანებს პარლამენტში ყოფნა", -ამბობს ჟურნალისტი.

გენდერული სტერეოტიპები ფორმულა ტვ-ზე

მონიტორინგის პერიოდში "ფორმულაზე" გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაშუქებულა.

კავკასია ტვ

რაოდენობრივი შედეგები

”კავკასიის” ეთერში მონიტორები ყოველდღიურად 19 საათიან საინფორმაციო გამოშვებას “დღეს” აკვირდებოდნენ. სამონიტორნგო პერიოდში ყველაზე ხშირად შუქდებოდა “ქართულ ოცნება”, მისთვის დათმობილი დროის 30 % ნეგატიური იყო. “კავკასიის” ეთერში ყველაზე დადებითად კი “ლელო საქართველოსთვის “წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 21 % პოზიტიური ტონი.



შინაარსობრივი შედეგები

“კავკასია” ხელისუფლებისადმი კრიტიკული არხია. მიმდინარე საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ამბებს ძირითადად ეთიკურად აშუქებს. კავკასიას თითქმის არ აქვს საკუთარი თემები, არ აქვს ექსკლუზიური, სიღრმისეული მასალები, სადაც ამა თუ იმ პრობლემის სრულად წარმოჩენა მოხდება. საინფორმაციო გამოშვებებში დიდი ნაწილი უჭირავს კრიმინალურ ამბების გაშუქებას და მასალებს, რომლებსაც სხვადასხვა უწყებები ავრცელებენ. საინფორმაციო გამოშვებებში ხშირია ე.წ კადრ-სინქრონები, სადაც ზოგჯერ იკვეთება ეთიკური დარღვევები. კავკასიის ეთერში ზოგჯერ დაუსაბუთებელი სიუჟეტებიც გავიდა.

13 აგვისტოს გაშუქდა “ევროპული საქართველოს” ბრიფინგი, ე.წ კადრ-სინქრონით, სადაც “ევროპული საქართველოს” წარმომადგენელი ხელისუფლებას საარსებო შემწეობით მანიპულირებაში ადანაშაულებდა. მისი თქმით, მოქალქეებს აფრთხილებენ, რომ თუ არ შემოხაზავენ ქართულ ოცნებას, მოეხსნებათ სახელმწიფო შემწეობა.მიუხედავად იმისა, რომ გასულ მასალაში არ ჩანდა ამ ბრალდების შესაბამისი მტკიცებულებები და ინფორმაცია არ იყო გამყარებული ფაქტებით, ჟურნალისტს არ უცდია ინფორმაციის გადამოწმება ადრესატთან,

რაც ეთიკური დარღვევაა. დაუსაბუთებელი და ცალმხირვი იყო 16 ივნისს გასული სიუჟეტიც , ევროპული საქართველო ჯანდაცვის სამინისტროს ახალი დადგენილების გამო აკრიტიკებს, რომელიც მათი აზრით ფინანსურ პრობლემებს გააღრმავებს და კორუფციას გაზრდის. სიუჟეტში არ ჩანს რა კონკრეტულად დადგენილებაზეა საუბარი და რას მოიაზრებს ეს გადაწყვეტილება, ვისმენთ მხოლოდ ოპოზიციური პარტიის მოსაზრებას ამ თემაზე, არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მოიძიოს დამატებითი მტკიცებულებები ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელის განმარტება წარმოდგენილი.

დაუბალანსებელი სიუჟეტი გავიდა კავკასიის ეთერში 23 ივლისს . ანა დოლიძე ნავთლუღის დასახლების მცხოვრებლებს შეხვდა, სადაც თავადაც და ადგილობრივი მოსახლეობაც ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე საუბრობისას ამბობენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არაფერს აკეთებს მათ მოსაგვარებლად. აღნიშულ სიუჟეტში არ ჩანს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობის პოზიცია. ბალანსი არ არის დაცული მთავარი არხის დამფუძნებლის გიორგი რურუას შესახებ 15 ივნისს გასულ სიუჟეტში თითქმის 7 წუთის განმავლობაში გიორგი რურუას დაკავების შესახებ მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლების ინტერვიუებს და მათი შეხედულებების პერეფრაზებს ვისმენთ. არ არის ინტერვიუ ხელისუფლების, ან პროკურატურის წარმომადგენელთან. არ ჩანს არგუმენტები, თუ რატომ დააკავეს ის და რა საფუძველი ან მტკიცებულებები არსებობს ამისთვის.

გენდერული სტერეოტიპები "კავკასიაზე"

მონიტორინგის პერიოდში "კავკასიაზე" გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაშუქებულა.

მაესტრო

რაოდენობრივი შედეგები

„მაესტროს" ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 9 საათზე.„მაესტროს" ეთერში ყველაზე მეტი დრო "ქართული ოცნების" გაშუქებას დაეთმო. ყველაზე დადებითად ასევე მთავრობა წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 9 % პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი, მისთვის დათმობილი დროის 32 % ნეგატიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალისტების ტონი ძირითადად ნეიტრალურია. არხზე არ გვხვდება სხვადასხვა აქტუალური საკითხების კრიტიკულად გაშუქების მცდელობები.

ტელეკომპანია უმეტეს დროს უთმობს მმართველი პარტიისა და მთავრობის პოზიტიურად გაშუქებას. საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად ვხვდებით სიუჟეტებს, სადაც მთავრობის წევრთა აქტივობებია გაშუქებული, -- ეს სხვადასხვა ცენტრების გახსნა, ახალი მანქანებით სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ავტოპარკის განახლება და ა.შ.

სამონიტორინგო პერიოდს დაემთხვა ოცნების მიერ მაჟორიტარი კანდიდატების დასახელება; 20 ივლისს არხმა დიდი დრო დაუთმო მაჟორიტართა წარდგენის ღონისძიების გაშუქებას და მომდევნო დღეებშიც გავიდა სიუჟეტები "ქართული ოცნების" მაჟორიტარებზე.

რჩება შთაბეჭდილება, რომ საინფორმაციო გადაცემებში ხელისუფლების დადებით ნაბიჯებზე ხდება მიზანმიმართულად ხაზგასმა. მაგალითად, 7 აგვისტოს გასულ 12 წელი აგვისტოს ომიდან - საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ 2008 წლის 5-დღიან ომს იხსენებენ - 16-წუთიან მასალაში მაესტრომ ოპოზიციას ჯამში მხოლოდ 24 წამი დაუთმო. სხვა რესპონდენტები დასავლელი პარტნიორები (ტვიტერზე გამოქვეყნებული განცხადებებით) და მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. მას შემდეგ, რაც 2008 წლის ომის შესახებ

განცხადებები მიმოიხილა, არხმა მაყურებელს პრემიერმინისტრის და ჯანდაცვის მინისტრის კომენტარები შესთავაზა ადგილიდან, სადაც 250-ზე მეტ დევნილს მთავრობამ საცხოვრებელი ბინები გადასცა.

აშკარაა, „ქართული ოცნების“ მიმართ შედარებით რბილი, ოპოზიციისდმი კი კრიტიკული დამოკიდებულება ჟურნალისტების მხრიდან. მაგალითად, 24 ივლისს გასული სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ ფრონტერა მთავრობას ადანაშაულებს დეზინფორმაციის გავრცელებში, თუმცა ამის შემდეგ 3 წუთიან სიუჟეტში ვხედავთ მხოლოდ პარლამენტის თავჯდომარისა და პრემიერი მინსიტრის კომენტარს და ვერ ვიგებთ რატომ ადანაშაულებს კომპანია დეზინმფორმაციაში მთავრობას. ასევე, 17 ივლისს მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე მომზადებულ სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ სააკაშვილი პირდაპირ ერევა საქართველოს შიდა პოლიტიკაში და ხაზს უსვამს მის თანამდებობას უკრაინაში. ენმ-ის მხოლოდ ერთი წევრის კომენტარია ფორმალური ბალანსისთვის წარმოდგენილი, მაშინ როცა ამავე სიუჟეტში ქართული ოცნების 4 წევრი საუბრობს სააკშვილზე და ენმ-ის მთავრობის დროინდელ საქმეებს იხსენებენ.

სამონიტორინგო პერიოდში გამოიკვეთა ქართული ოცნების წევრების, უფრო ხშირად გიორგი გახარიასა და ბიძინა ივანიშვილის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გაშუქებაზე თავის არიდების ტენდენცია, რაც გაშუქებული თემის გარშემო არასრული ინფორმაციის მოწოდებით ან თემის იგნორირებაში გამოიხატებოდა. ასეთი „სენსიტიური“ თემებად გამოჩნდა 20 -21 ივნისის დემონსტრაციის დაშლის და ამერიკელი კონგრესმენების მიერ ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა.

გამოიკვეთა, რომ ოპოზიციაზე ტელეარხი იმ შემთხვევაში საუბრობს, თუ საქმე ეხება პარტიებს შორის დაპირისპირებას - მაჟორიტარულ სიებზე ვერშეთანხმებას. ოპოზიციაზე ძირითადად, ნეიტრალური ტონით ლაპარაკობს, თუმცა, თამამად მიუთითებს მათ შეცდომებზე.

გენდერული სტერეოტიპები მაესტროზე

გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდში გასულ სიუჟეტებში, რომელიც ეხებოდა გოგი თოფაძის შვილიშვილის დაჭრას, მომხდარი დანაშაული ქალისთვის დაბრალებას ჰქონდა ადგილი, რაც გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებას და დისკრიმინიაციის წახალისებას წარმოადგენს -- “დაპირისპირების სავარაუდო მიზეზი თოფაძეების ოჯახში სტუმრად მყოფი ქალია, რომელთანაც, როგორც ირკვევა, თოფაძე მეგობრობს, ჟვანიას კი წარსულში გარკვეული სახის ურთიერთობა ჰქონდა", ჟურნალისტი კი სიუჟეტში აღნიშნავდა. "თოფაძეების ოჯახში სისხლიანი გარჩევის მიზეზი, სავარაუდოდ, გოგონა გახდა, რომელიც თოფაძეებთან გვიან ღამით სტუმრად იმყოფებოდა", -განაცხადა წამყვანმაც 2 აგვისტოს მაესტროს ეთერში.

პალიტრა ტვ

რაოდენობრივი შედეგები

“პალიტრა ტვ”-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 19 საათზე. სამონიტორინგო პერიოდში “პალიტრა ტვ”-მ ყველაზე მეტი დრო “ქართულ ოცნებას დაეთმო და დათმობლი დროის 13 % ნეგატიური იყო. ყველზე პოზოტიურად არხი ადგილობრივი მთავრობას წარმოჩინდა, 7 % დადებითი ტონით.



შინაარსობრივი შედეგები

“პალიტრა ტვ” საინფორმაციო გამოშვებაში შუქდება მიმდინარე ახალი ამბები. არხი მეტწილად იცავს ეთიკურ სტანდარტებს. არხზე განსაკუთრებით იგრძნობა სიღრმისეული, ანალიტიკური მასალის ნაკლებობა. “პალიტრა ტვ” ის ეთერში ხშირად გადის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და პოლიტიკოსების საქმიანობის შესახებ მომზადებული მასალები, რომელიც ამ უწყებებიის პიარ სამსახურების მიერაა შექმნილი და მათ რეკლმას ეწევა. თუმცა მაყურებლისთვის მკაფიოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო და სარეკლამო სიუჟეტები. მაგალითად 27 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში რამდენიმე ასეთი მასალა გავიდა, მათ შორის იყო შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლისა და სახელმწიფო რწმუნებულის საფრანგეთის ელჩთან ერთად ვიზიტი სოფელ რუხში. საუბარია იმაზე, თუ როგორ ზრუნავს მთავრობა კონფლიქტის ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობაზე და რომ ისინი სამომავლოდაც დაეხმარებიან ყველა ოჯახს, რაც მთავრობას,

გარკვეულწილად, პოზიტიურად წარმოაჩენს. ამავე დღეს, მასალა, რომელიც თავდაცვის მინისტრის ინიციატივით ჯარში მზარეულების გადამზადების პროგრამას ეხებოდა და აღწერდა თუ როგორ გააუმჯობესებს გამოცდილი და სახელგანთქმული შეფმზარეულების მიერ გადამზადებული კადრი ჯარისკაცების ყოველდღიურ მენიუს.

მიმდინარე პოლიტიკური ამბების გაშუქებისას "პალიტრა ტვ" -ის ეთერში ზოგჯერ დაფიქსირდა ეთიკური დარღვევები. დაუბალანსებელი სიუჟეტი გავიდა 28 ივლისის "ვინ არ თმობს მაჟორიტარულ ოლქებს ოპოზიციაში , რომელიც "ევროპულ საქართველოსა" და "ნაციონალურ მოძრაობის" მხრიდან მაჟორიტარი კანდიდატების წარსადგენი ოლქების გადანაწილებას ეხებოდა. სიუჟეტში "ევროპული საქართველოს" წარმომადგენელი " ნაციონალურ მოძრაობას" პირობის მოშლასა და ოპოზიციის საწინააღმდეგო არაპრაგმატულ ქმედებაში სდებს ბრალს. სიუჟეტში არ გვაქვს ნაციონალური მოძრაობის პოზიცია და დარღვეულია ბალანსი მათ საზიანოდ

გენდერული სტერეოტიპები "პალიტრა ტვ"-ზე

17 ივლისის გავიდა სიუჟეტი ქართული ოცნების ქალი მაჟორიტარის, ნინო ლაცაბიძის შესახებ. სიუჟეტში მოცემულია ირაკლი კობახიძის განცხადება კანდიდატზე და ამბობს, რომ ნინო ლაცაბიძეს აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება და აქცენტს აკეთებს მასზე, როგორც მრავალშვილიან დედაზე: „დღეს ის არის თბილისის საკრებულოს აქტიური წევრი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ყველაფერს ის წარმატებით უთავსებს ოთხი შვილის დედობას."
არხმა კობახიძის სექსისტური განცხადება ისე გაუშვა ეთერში არ განუმარტავს, რომ ეს სექსიზმია, დისკრიმინაციულია ქალი პოლიტიკოსის მიმართ და მიუღებელია. ასევე უცვლელად, ჟურნალისტის განმარტების გარეშე გავიდა 31 ივლისის სიუჟეტში პრეზიდენტის დროშის შესახებ რომან გოცირიძის გენდერული დისკრიმინაციის შემცველ ფრაზა: "სეპარატისტული ძალაუფლების კუნძულის შექმნა უნდა. თითქოსდა ის აქვს საკუთარი, სამზარეულოში რომ ქალები შეიკრიბებიან..თუ კაცები ქალები გენდერულში რომ არ ჩამეთალოს."

ტვ პირველი

რაოდენობრივი შედეგები

„ტვ პირველის" ეთერში მონიტორები ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „პირველები " და "ნოდარ მელაძის შაბათს "აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე ხშირად

“ქართული ოცნება“ გაშუქდა, ყველაზე უარყოფითი გაშუქება კი ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა - 60 %. ყველაზე დადებითად “ტვ პირველის” ეთერში “ლელო საქართველოსთვის” გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 3% დადებითი იყო.



შინაარსობრივი შედეგები

“ტვ პირველის” მთავარი საინფორმაციო გამოშვებები გამოირჩევა ხელისუფლების მიმართ მკვეთრად კრიტიკული, უარყოფითი დამოკიდებულებით. აღნიშნული გამოიხატება როგორც საინფორმაციო გამოშვებაში გაშუქებული საკითხების თემატიკით, ასევე ჟურნალისტების საავტორო ტექსტებით, -- ხშირად ირონიული ან დამცინავი შეფასებებით: ”ქართველი დეპუტატების მადა ჭამაში მოდის. ჭამენ, ოღონდ ჩვენი ფულით,” -თქვა “ტვ პირველის” ჟურნალისტმა ერთ-ერთ სიუჟეტში

“ტვ პირველის” საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად შუქდება თემები თანამდებობის პირთა კორუფციის, ან არაჯანსაღი კომერციული ინტერესების შესახებ. მმართველი პარტია და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ძირითადად, უარყოფითად არის წარმოჩენილი და

ჟურნალისტური მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია იქითკენ, რომ ნებისმიერი უკანონო ქმედების უკან გამოკვეთონ ბიძინა ივანიშვილის ფარული თუ ღია ინტერესი. მსგავსი კრიტიკული ტონი არ იგრძნობა ოპოზიციის მიმართ.

ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის კრიტიკის დროს ზოგჯერ გვხვდება მანიპულციის შემთხვევებიც. 27 ივნისის "ნოდარ მელაძის შაბათის" წამყვანის მონოლოგი გაჯერებულია მანიპულაციით, ეფექტის გასაძლიერებლად გამოყენებულია დრამატული მუსიკა, რაც თითქმის მთელ გადაცემას გასდევს ფონად. წამყვანი შესავალში ახსენებს შაქარაშვილის საქმეზე დაკავებულ მორაგბეებს და მათ პირდაპირ უკავშირებს ხელისუფლების ქმედებებს, არჩევნებში ჩარევას: "მმართველი პარტიის წარმომადგენლები წერდნენ და ამბობდნენ, რომ პოლიცია ყველა დაბადების დღეზე ვერ დაადგება და საზოგადოებრივ წესრიგს ვერ დაიცავს. ეს მართალია. პოლიცია ყველა ახალგაზრდის თავყრილობას ვერ გააკონტროლებს და ყველა დაბადების დღეზე ვერ იქნება უფლებების დამცველი. მაგრამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იწყება იქ, სადაც ის აძლევს უფლებას საკუთარ თავს და მხარდამჭერებს იმის უფლებას, გააკეთონ ყველაფერი, რაც მოესურვებათ. სახელმწიფოს და მმართველი გუნდის პასუხისმგებლობა იწყება იქ, სადაც ჩნდება ქვეყანაში პრეცედენტი, შეიქმნას სადამსჯელო რაზმები. პოლიციამ გუშინ 17 ადამიანი დააკავა, მათ შორის არიან მორაგბეები, რომელთა სახეები პირველად არ გვინახავს. ისინი თბილისში, სხვადასხვა ღონისძიებებზე, განსხვავებული აზრის ადამიანებს ქუჩებში ლამის კომბლებით დასდევდნენ. ისინი ყოველი არჩევნების წინ საარჩევნო უბნებთან დგანან და ცდილობენ აკონტროლონ ამომრჩევლის ნება. ისინი არჩევნების დღეს კარდაკარ დადიან, მოქალაქეები სახლებიდან გამოყავთ, საარჩევნო უბნებთან მიყავთ და აიძულებენ მათ, შემოხაზონ 41. ხელისუფლება ამის სანაცვლოდ ამ ადამიანებს აძლევს გარკვეულ პრივილეგიებს. მაგალითად, მათ გადაცდომებზე, უბრალოდ, არ რეაგირებს. აძლევს პრივილეგიას, რომ როდესაც ეს ადამიანები დანაშაულს ჩაიდენენ, მათ, უბრალოდ, არ დასჯის. როდესაც იქმნება დაუსჯელობის სინდრომი და როდესაც ადამიანებს უჩნდებათ განცდა, რომ შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი იმიტომ, რომ ისინი მმართველი გუნდის მფარველობით სარგებლობენ,. სწორედ მაშინ იწყება ცხოვრება სახელმწიფოში, სადაც კანონის წინაშე ადამიანები თანასწორები არ არიან."

"ტვ პირველის" ეთერში ხშირად დაუსაბაუთებელი სიუჟეტებიც გავიდა, სადაც ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მიმართ ისეთი ბრალდებებია გაჟღერებული, რისი მტკიცებულებები სიუჟეტში არ არის. ერთ-ერთი ასეთი სიუჟეტი 20 ივნისს გავიდა. სიუჟეტი ეხება 2019 წლის 20 ივნისის აქციის დარბევის საქმეს, კერძოდ, ვინ გასცა უშუალო ბრძანება რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ. ჟურნალისტი სიუჟეტში საუბრობს, რომ განსაკუთრებულ დავალებთა დეპარტამენტის ყოფილი უფროსი საფრანგეთში "გაიქცა" ან "გააპარეს" და ის ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს. თუმცა ეს ინფორმაცია არ არის გადამოწმებული და არც ჩანს, რომ ჟურნალისტი ცდილობს მის ოფიციალურ უწყებებთან გადაამოწმებას -- სიუჟეტი ფაქტებით საკმარისად არ არის გამყარებული.

"ტვ პირველის" ეთერში ზოგჯერ დაუბალანსებელი სიუჟეტებიც გავიდა. მაგალითად, მაგალითად ასეთი იყო 29 ივნისს გასული

სიუჟეტი, სადაც დაუსაბუთებელი ბრალდებები ისმის ოპოზიციიდან რომ "ქართული ოცნება" კრიმინალებს მფარველობს, რათა არჩევნებში მათი მხარდაჭერა ჰქონდეს. არ ჩანს მცდელობა, რომ ჟურნალისტი ეცადა აღნიშნული ბრალდების რაიმე სახით გამყარებას ან დაბალანსებას.

გენდერული სტერეოტიპები "ტვ პირველზე"

მონიტორინგის პერიოდში "ტვ პირველზე" გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაშუქებულა.

იმედი

რაოდენობრივი შედეგები

„იმედის" ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ქრონიკას" 8 საათზე და „იმედის კვირას". „იმედზე" ყველაზე მეტი დრო "ქართულ ოცნებას " დაეთმო და ყველაზე დადებითადაც მთავრობა გაშუქდა დათმობილი დროის 29 % -ით. ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი (74 %) და „ნაციონალური მოძრაობა" (44) გაშუქდნენ.



შინაარსობრივი შედეგები

იმედის ეთერში ყველაზე მეტი დრო ქართული ოცნების გაშუქებას დაეთმო. ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემის პათოსი თითქმის სრულად ემთხვევა „ქართული ოცნების" და ხელისუფლების რიტორიკას.

იმედზე პრაქტიკულად არ გვხვდება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე მომზადებული ექსკლუზიური და სიღრმისეული სიუჟეტები. მუდმივად შუქდება როგორ წარმატებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები: "მსოფლიო გამოწვევის, კოვიდპანდემიის მიუხედავად, ქვეყანაში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერებულა"

იმედი ღია უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს ოპოზიციის, განსაკუთრებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოს მიმართ. მაგალითად, 29 ივნისს სიუჟეტი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებაზე აქცენტით, რომ მმართველმა გუნდმა საერთაშორისო პარტნიორებისა და საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებები შეასრულა და ოპონენტების პოლიტიკური ვაჭრობის ფონზე ისტორიული ნაბიჯი გადადგა. ასევე ითქვა, რომ ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოს რამდენიმეთვიანი

მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ოპოზიციის ამ ნაწილმა 8 მარტის შეთანხმება დაარღვია და მოდერატორების მოწოდებების მიუხედავად მონაწილეობა არც მესამე კენჭისყრაში მიიღო და ამით თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციური პარტიების მიმართ ხშირად გამოიხატება მათი ასეთი ეპითეტებით მოხსენიებაშიც: "ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია', "სააკაშვილ-ბოკერიას კლასტერი", "ე.წ. ერთობა, რადიკალური ოპოზიცია", "რადიკალები " და სხვ.

ტელეკომპანიაზე გვხვდება მანიპულაციური მასალებიც. 18 ივნისის სიუჟეტში ოპოზიციის მიერ თბილისში საერთო მაჟორიტარობის კანდიდატებზე შეთანხმების შესახებ ამბავი ისეა წარმოჩენილი თითქოს, დასახელებულ კანდიდატებს, ნათელაშვილის ოფისის ფორმატში შეკრებილი ოპოზიციის სრული მხარდაჭერა არ აქვთ. აღნიშნული მსჯელობის გასამყარებლად დასახელებულია გირჩი, ლელო, ეკა ბესელია, ალეკო ელისაშვილი და ნინო ბურჯანაძე და ნათქვამია, რომ ისინი დღევანდელ მსჯელობას საერთოდ არ დასწრებიან. არადა, ყველა დასახელებული სუბიექტი თავიდანვე ამბობდა, რომ ისინი საერთო მაჟორიტარობის შესახებ შეთანხმების ნაწილში სხვა ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით ოპოზიციური ერთიანობისგან ცალკე იდგებოდნენ და რომ მათი თანამშრომლობა მოცემულ მომენტში მხოლოდ საარჩევნო სისტემის რეფორმებისთვის საჭირო კონსტიტუციური ცვლილებების გარშემო შედგა. შესაბამისად, მათი შეხვედრაზე არდასწრება არახალია და იმის არგუმენტად, რომ დასახელებულ კანდიდატებს ოპოზიციური გაერთიანების სრული მხარდაჭერა არ აქვთ, არასწორია.

სიუჟეტების მთელი სერია მიეძღვნა იმედის ეთერში აშშ-ის კონგრესის რესპუბლიკური პარტიის სამუშაო ჯგუფის ანგარიშში ნახსენები წინადადების "ბიძინა ივანიშვილი პუტინის მოკავშირეას" განეიტრალებას (15, 17, 18 ივნისი) სიუჟეტებში მანიპულაციურად ხდება ამ ფრაზის წარმოჩენა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ დაქირავებული ლობისტების მანიპულაციის შედეგად : "ნაციონალურმა მოძრაობამ სცადა წარმოეჩინა, რომ ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე და სტრატეგიულ პარტნიორთან პრობლემები აქვს. ▯მ პარტიის ნარატივი და მათი ლობისტების ნამუშევარი მმართველმა პარტიამ დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე ამოიკითხა, თუმცა კონგრესმენ ბეიკონის განმარტება მათი შეფასებით სპეკულაციის დასასრულია", - ამბობს წამყვანი და აქვეა მცდელობა აღნიშნული ანგარიშის უმნიშვნელო დოკუმენტად წარმოჩენის: "ცნობილი ფაქტია, რომ კონგრესის პოზიცია გამომდინარეს მათი საკანონმდებლო აქტებიდან, 120 გვერდიანი ანგარიში კი არ არის ამ დონის ლეგიტიმაციის დოკუმენტი".

ერთი შეხედვით ტელეკომპანია ფორმალობისთვის რესპონდენტების თვალსაზრისით ცდილობს ბალანსი დაიცვას, თუმცა სიუჟეტების მთელი ტონი ისეა აწყობილი, რომ ის ძირითადად ოპოზიციის მიმართ კრიტიკული შეფასებებით არის გაჯერებული. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბალანსი ფორმალურადაც არ რის დაცული. მაგალითად, 3 ივლისს გასული სიუჟეტი, რომელიც ქართული ოცნების ბრალდებას დაეთმო. მასალა მომზადდა იმის

შესახებ, თუ რატოა ნაციონალური მოძრაობა კრიმინალური პარტია. სიუჟეტში არ იყო ბალანსი დაცული. ნაციონალური მოძრაობიდან ჩაწერეს მხოლოდ რომან გოცირიძე, უმრავლესობიდან კი - მამუკა მდინარაძე, ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე. ასევე, პირველ ივლისს "ქრონიკაში" ერთ-ერთი მასალა რეგლამენტში ცვლილებების დამტკიცებას შეეხო. მასალაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ უმრავლესობის კომენტარები, რომლებიც პოზიტიურად აფასებდნენ ცვლილებას და არ ისმოდა კრიტიკული აზრი, ან ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი მაინც. იმის მიუხედავად, რომ მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რატომ უარესდებოდა ახალი რეგლამენტით დეპუტატების უფლებამოსილება. მასალაში ისევ არ იყო არც "ევროპული საქართველო" და არც "ნაციონალური მოძრაობა".

მონიტორინგის პერიოდში მკვეთრად ნეგატიურად შუქდებოდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი. ზოჯერ მის შესახებ გასული სიუჟეტი მანიპულაციურიც იყო: 15 ივლისს, ირინა ენუქიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ მასალაში გამოყენებული იყო გირგვლიანთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის საარქივო მასალა, რომელიც ჟურნალისტმა მაყურებელს მიაწოდა, როგორ თანამედროვე და თქვა: "არანაირი სინანული - საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს სანდრო გირგვლიანის საქმეზე დასმული კითხვაც კი აღიზიანებს. მეტიც, ამბობს, რომ ყელში ამოვიდა ამ თემაზე საუბარი".

გენდერული სტერეოტიპები "იმედზე"

მონიტორინგის პერიოდში "იმედზე " გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაშუქებულა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

რაოდენობრივი შედეგები

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება „მთავარის" ეთერში, ყველაზე მეტი დრო "ქართულ ოცნებას" დაეთმო. "ქართულ ოცნებას" როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ტონი (10 %) თანაბრად გადაუნაწილდა. აჭარის ტელევიზიის ეთერში ყველაზე უარყოფითად მთავრობა გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 10 % უარყოფითი იყო.



შინაარსობრივი შედეგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სამონიტორინგო პერიოდში გადაცემაში ჭარბობდა სიუჟეტები ადგილობრივი პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ამასთან ეთერი აქტიურად ეთმობოდა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რომელიც შუქდებოდა ძირითადად ეთიკური სტანდარტის დაცვით.

რაოდენობრივი შედეგების მიხედვით, აჭარის ტელვიზიის ეთერი ყველაზე მეტი დრო "ქართულ ოცნებას" დაეთმო. აღსანიშნავია, რომ მმართველი პარტიის გაშუქების პოზიტიური და ნეგატიური ტონიც დროის თვალსაზრისით თანაბარად გადანაწილდა, თუმცა დაფიქსირდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ნეგატიური ტონი ირიბი იყო, ანუ მმართველ პარტიას უარყოფითად სხვები მოიხსენიებდნენ, ხოლო დადებითი ტონი კი პირდაპირი ფორმით ჭარბობდა, რაც ეთერში "ქართული ოცნების" პირდაპირ დადებითად გამოჩენას გულისხმობს.

აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაცი გამოშვებაში, მეტნაკლებად, დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება, თუმცა, რიგ შემთხვევებში იქმნებოდა შთაბეჭდილიბა, რომ სარედაქციო პოლიტიკა სამთავრობო გუნდის და მმართველი პარტიის მიმართ მიკერძოებული იყო. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მონიტორინგის პერიოდის მეორე

ნახევარში, აგვისტოს თვეში გამოიკვეთა. მაგალითად, აჭარაში "ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენით დაიწყო და თითქმის 26 წუთი გაგრძელდა პირდაპირი ეთერი 29 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში. 31 აგვისტოს კი ქობულეთსა და ხელვაჩაურში " ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა გაშუქდა, თუმცა, კანდიდატების საქმიანობის შესახებ არაფრი თქმულა და არც კრიტიკული კითხვები დასმულა ჟურნალისტების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ კანდიდატის დანზორ ბოლქვაძის ეკონომიკური ინტერესების შესახებ არასამთავრობო ორგანიაციამ " საერთაშორისო გამჭვირვალობამ" კვლევაც გამოაქვეყნა ამ ფონზე ისე გაშუქდა 12 აგვისტოს "ლელო საქართველოსთვის " მაჟორიტარების წარდგენა, რომ კანდიდატების კადრებიც კი არ უჩვენებიათ

აჭარის ტელევიზიის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება ანალიტიკური, სიღრმისეული მასალების ნაკლებობა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ -პოლიტიკური მოვლენების ზედაპირული გაშუქება. ეთერში თითქმის არ ჩანს მწვავე ექსკლუზიური, ხელისუფლების მამხილებელი მასალები. ზედაპირული გაშუქების მაგალითები კი ხშირია.
14 აგვისტოს აჭარის ტელევიზიის ეთერში გავიდა სიუჟეტი ბათუმში ერთ-ერთ სასტუმროში კარანტინში მყოფი მოქალაქის შესახებ, რომელიც მე 4 სართულიდან გადმოხტა. ჟურნალისტმა მხოლოდ დაზარალებულის ოჯახის წევრის კომენტარი გვაჩვენა, რომელიც ითხოვს პროცესში ჯანდაცვის სამინისტროს მონაწილეობას და სავარაუდოდ კარანტინში ადამიანების განთავსების წესების დარღვევაზე მიუთითებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტის გარშემო არაერთი კითხვაა ჟურნალისტი მხოლოდ ორ წუთიანი სიუჟეტით შემოიფარგლა და მთავარი კითხვებზე როგორ მოხდა შემთხვევა, რა იცის გამოძიებამ, რატომ იყო ის განთავსებული სხვა პირთან ერთად და ა.შ. პასუხის მიღებას არ ეცადა. 15 აგვისტოს მორიგი სიუჟეტი გავიდა ამ თემაზე, - დაშავებულის მეუღლე ისევ ჩივის, რომ შესაძლოა დაირღვა პირის კარანტინში განთავსების წესები რამაც გამოიწვია მომხდარი, თუმცა ჟურნალისტი არ ცდილობს შსს-თან და ან საკარანტინო წესების აღსრულებაზე ზედამხედველ ორგანოსთან გადაამოწმოს შესაძლებელია თუ არა რომ სასტუმროს მხრიდან ადგილი ჰქონოდა კარანტინში განთავსების წესების დარღვევას. ინფორმაციის მოძიების ამ კრიტიკული კითხვების დასმის ნაცვლად, ამ სიუჟეტს მოყვა სიუჟეტი უკვე საკარანტინო სივრცეებში მოთავსებული კმაყოფილი მოქალაქეების ჩვენებით. ასეთი გაშუქებით ჟურნალისტმა შექმნა შთაბეჭდილება რომ საკარანტინო წესების დარღვევაზე პრეტენზიები რეალობა შეიძლება არ იყოს.

გენდერული სტერეოტიპები საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე

მონიტორინგის პერიოდში "აჭარის ტელევიზიაზე" გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაშუქებულა.

პოს ტვ

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ "პოსტ ტვ" ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 19 საათზე. სამონიტორინგო პერიოდში პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო "ქართულ ოცნებას" დაეთმო და დათმობილი დროის 24 % დადებითი იყო. ყველაზე ნეგატიურად კი მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 80 % უარყოფითი ტონით. პოტს ტვ -ის ეთერში დადებითად გაშუქდა მთავრობაც, მისთვის დათმობილი დროის 33 % პოზიტიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

ტელეარხი "პოსტ ტვ" პროსახელისუფლოა და შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტიის პროპაგანდის იარაღია. არხი მმართველ პარტიას მუდმივად დადებითად წარმოაჩენს და ასევე მუდმივად ცდილობს ოპოზიციის დისკრედიტაციას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ოპოზიციურ პარტიას ეხება საქმე. ოპოზიციის დაკნინების მიზნით ჟურნალისტები მიმართავენ დამცინავ ტონს და ტექსტებს, ძირითადად ოპოზიციას "რადიკალებად" მოიხსენიებენ.

“პოსტ-ტვ” “ქართული ოცნების” პოლიტიკას სხვადასხვა მიმართულებით დადებითად წარმოაჩენს -- ხაზს უსვამს მმართველი გუნდის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, კეთილ საქმეებს, დაპირებებს. მაგალითად 21-27 აგვისტოს პერიოდში არხზე სამი სიუჟეტი მომზადდა მთავრობის 200-ლარიან დახმარებაზე 21 აგვისტოს სიუჟეტი ეხებოდა მთავრობის ინიციატივას 18 წლამდე პირებისთვის 200-ლარიანი დახმარებების შესახებ. მთელი სიუჟეტი იყო მთავრობის დადებით კონტექსტში წარმოჩენა - როგორი წარმატებული პროგრამაა, როგორი მაქსიმუმი გააკეთა მთავრობამ ბავშვთა სიღარიბის დასაძლევად და როგორი დადებითი გამოხმურება აქვთ მათ შორის იუნისეფის და ფიტჩის ანგარიშებSი. სიუჟეტში იუნისეფის წარმომადგენლისა და ექსპერტის გარდა (რომელბიც ასევე აქებდნენ მთავრობის ნაბიჯებს), მხოლოდ ქართული ოცნების წარმომადგენლები ჩანდნენ (ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, პრემიერის მრჩეველი, მამუკა მდინარაძე, დიმიტრი ხუნდაძე), რომლებიც ასევე საუბრობდნენ მთავრობის ამ პროგრამის მნიშვნელობაზე და აქებდნენ მთავრობის გადაწვეტიელბას. დადებით ტონში ყვებოდა ჟურნალისტიც. მთავრობის ამ ინიციატივაზე. სიუჟეტში საერთოდ არ იყო ბალანსი, ფორმალური ბალანსისთვისაც კი არ მოგვისმენია ვინმე ოპოზიციის შეფასება ამ ინიციატივაზე. **ამ პოზიტიურ ტონში გაგრძელდა 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების თემა 26 -27 აგვისტოსაც .**

პოსტტვ -ის არხზე შუქდება “ქართული ოცნების “ თითქმის ყველა წინასაარჩევნო აქტივობა: “აქცენტი განათლებაზე, ფოკუსირება ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, დეოკუპაციაზე, სხვა თანამედროვე გამოწვევებზე და საქართველოს დასავლურ არჩევანზე -ამ გზავნილებით საარჩევნო მარათონი 2020 პირველად მმართველმა პარტიამ გახსნა. ქართულმა ოცნებამ თბილiსში და რეგიონებში მაჟორიტარი კანდიდატები დაასახელა“ -- ასე დაიწყო საინფორმაციო გამოშვება გადაცემის წამყვანმა 20 ივლისს ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენას გადაცემის 36 წუთი დაეთმო. წამყვანის და ჟურნალისტის ტექსტები, მუსიკა, კადრები, მოქალაქეების დადებითი შეფასებები სრულიად პოზიტიურად წარმოაჩენდა მმართველ პარტიას. "უუნარო ოპოზიციის უსუსური კრიტიკა - საარჩევნო რინგზე ჯერ მხოლოდ ქართული ოცნება ჩანს. ოპოზიცია ცდილობს, საკუთარი წარუმატებლობა მძაფრი შეფასებებით გადაფაროს. რას მალავენ რადიკალები და როგორია მათი დღის წესრიგი - არჩევნებისთვის ემზადებიან თუ ბუნტისთვის". - ამ ტექსტით ჩართეს მათივე თქმით, “რადიკალური “ ოპოზიციური პარტიის წევრების კომენტარები პარლამენტიდან, - მიუხედავად იმისა, რომ ჩართვა მთლიანად ეძღვნება მმართველი გუნდის მიერ მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენას, როგორც ანონსი, ისე ტიტრი ოპოზიციის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული.

ოპოზიციის წარმომადგენლების შესახებ მომზადებული სიუჟეტებში არხი არ ერიდება არც გადაუმოწმებელი და ყალბი ამბების გამოქვეყნებას.
მაგალითად, სიუჟეტი - “ოპოზიციის ფასადური შეთანხმება” რომელიც 18 აგვისტოს გავიდა. წამყვანი წარმდგენ ტექსტში ამბობს: “შალვა ნათელაშვილის ეზოში ერთხელ ოპოზიციამ კრიმინალი ჟორიკა რურუა პოლიტპატიმრად გაასაღა. ამჯერად, შეხვედრების მეორე

რაუნდზე ისინი სააკაშვილის ერთ-ერთი ყოფილი ძალოვანი მინისტრის გარშემო ერთიანდებიან. ოპოზიცია რატომღაც დარწმუნებულია, რომ საბურთალოს მაჟორიტარად ირაკლი ოქრუაშვილის მხარდაჭერა მათ წარმატებას, პრესტიჟს და რეიტინგს მოუტანს. საუბარია მინისტრზე, რომელიც გადადგომის შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და კრემლს საიდუმლო ინფორმაცია გადასცა. აგენტობიდან ოპოზიციურ პოლიტიკურ ლიდერობამდე გზა, სახიფათო, შესაძლოა, სწორედ ოპოზიციისთვის აღმოჩნდეს" -- შემდეგ სიუჟეტში ირაკლი ოქრუაშვილის რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის და კრემლისთვის საიდუმლო მასალების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია არ იყო გადამოწმებული და დადასტურებული, არ ჩანდა სიუჟეტში არც ერთი სანდო წყარო, ან მტკიცებულება, რაც ამბის რეალურობას დაამტკიცებდა, ირაკლი ოქრუაშვილსაც არ მიეცა ამ ბრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალება.

გადაუმოწმებელი ინფორმაცია გავრცელდა 5 აგვისტოს გასული სიუჟეტშიც მოძრაობა ჭავჭავაძის გამზირზე, რომელიც ახლად რეაბილიტირებულ გამზირზე შექმნილ საცობს ზურაბ ადეიშვილს უკავშირებს: "ჭავჭავაძის გამზირზე მოძრაობის ახალ სქემას სოციალურ ქსელშიც განიხილავენ, მოქალაქეების ერთი ნაწილი თვლის ერთი ჯგუფი საკითხს შეგნებულად ამწვავებს და ჭავჭავაძეზე მოძრაობის შეფერხებას ხელოვნურად ცდილობს. მოქალაქე წერს, რომ ზურაბ ადეიშვილმა ნაცმოძრაობის აქტივს ჭავჭავაძის გამზირზე საავტომობილო მოძრაობის პარალიზება დაავალა: "გუშინ, 4 აგვისტოს, დაახლოებით 2-ის ნახევარზე, ჩემს გოგონასთან ერთად მოსკოვის ქუჩაზე მდებარე იტალიურ კაფე "ბუფფალინოში" შევედით და პიცა შევუკვეთეთ. ჩვენ გვერდით მაგიდასთან მჯდომი ორი პიროვნება ქართულად, საკმაოდ ხმამაღლა და ემოციურად საუბრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი ეუბნება მეორეს: "არა ძმაო, რა, მართლა მოზგი და შენ**ეულია ზურა!" – "ვინ ზურა?" - ეკითხება მეორე, - "ადეიშვილი, ბიჭო, ხომ იცი, რა მოიფიქრა? ჩვენს აქტივს თბილისში დაავალა ჭავჭავაძეზე ხშირად იმოძრაონ მანქანებით და ყოველდღე 2-3 მანქანა ვითომ უნდა გაგიფუჭდეთ და მოძრაობა გაჭედოთ, რომ რაც შეიძლება ბევრი ხალხის უკმაყოფილება მოჰყვესო."

პლატფორმა - ვინ ვინ არის ინფორმაციით ფეისბუკის მომხმარებელი, Davit Gelashvili ყალბი ანგარიშია და ის სახელდახაელოდ, ამ ისტორიის გავრცელებისთვის შეიქმნა. პროფილის ფოტოზე გამოსახული პიროვნება კი არა დავით გელაშვილია, არამედ ვინმე მარსელია, რომელიც მოლდოვაში ცხოვრობს.

განსაკუთრებულად უარყოფითად პოტტვ მიხეილ სააკაშვილს აშუქებს. სწორედ მის შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში გამოვლინდა ყველაზე მეტი ეთიკური დარღვევაც

მიხეილ სააკაშვილს „პოსტვ-ზე" მოიხსენიებენ როგორც: „გაქცეული პრეზიდენტი", „ბრალდებული პრეზიდენტი", „უკრაინას თავშეფარებული პრეზიდენტი". მის შესახებ

მომზადებული მასალები მკვეთრად უარყოფითი და ცინიკურია. ასეთ სიუჟეტებში ირონია და ცინიზმი ისმის ჟურნალისტის ტექსტებშიც. პოსტვ-მ რამდენიმე სიუჟეტი მიუძღვნა მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვას დაბრუნების შესახებ და ყველა მასალაში იგრძნობოდა მისი დსიკრედიტაციის მცდელობა, რაც გამოხატებოდა ჟურნალისტების ტექსტებსა და მასალებისთვის შერჩეული კადრებში. ამის მაგალითი 31 აგვისტოს გასული სიუჟეტია, რომელიც მიეძღვნა მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვას დაბრუნების შესახებ. ეს მასალა ფაქტობრივად თავიდან ბოლომდე იყო ჟურნალისტის ტექსტი, შიგადაშიგ სააკაშვილის ვიდეოდან მცირე კადრებით. კლასიკური მუსიკის ფონზე უმეტესად ჟურნალისტის ტექსტს ვისმენდით, სააკაშვილის მანიპულაციური და დამაკნინებელი კადრებით (გარბენა შადრევანში, სირბილი სახურავზე, გაწოლა სანაპიროზე, სიარული მანქანის საბარგულით და ა.შ.). გარდა ამისა, ჟურნალისტი იყენებდა შეუსაბამო ეპითეტებსა და ანდაზებს, მაგ.: „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდა“.

გენდერული სტერეოტიპები “პოს-ტვ”-ზე

მონიტორინგის პერიოდში “პოს-ტვ”-ზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გამოვლენილა.

ობიექტივი

რაოდენობრივი შედეგები

“ობიექტივის” ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვების - „ნამდვილი ამბების“ მონიტორინგი ხდებოდა.

საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო „პატრიოტთა ალიანსს” დაეთმო. ყველაზე დადებითად ადგილობრივი მთავრობა გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 6% პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად, 79%-ით „ნაციონალური მოძრაობა“ გააშუქეს. “პატრიოტთა ალიანსისთვის“ დათმობილი დროის 5 % პოზიტიური იყო, რაც სხვა არხებისგან გამონაკლისს წარმოადგენს. ცნობილია, რომ ობიექტივის დამფუძნებლები „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები არიან და ალბათ, ეს განაპირობებს ამ პარტიისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას.



შინაარსობრივი შედეგები

“ობიექტივის” საინფორმაციო გამოშვება ცალსახად მიკერძოებულია და “პატრიოტთა ალიანსის” დღის წესრიგის მიხედვითაა აწყობილი. გამოშვებაში არ ტოვებენ პარტიის არც ერთ აქტივობას და სიუჟეტების ნაწილიც პარტიისთვის აქტუალური თემების მიხედვითაა აგებული.

“ობიექტივზე” “პარტიოტთა ალიანსს” უწოდებენ „ქვეყნის მთავარ ოპოზიციური ძალას“ ან მთავარ ოპოზიცურ პარტიას“. თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში “პატრიოტთა ალიანსის” მოსაზრებაა წარმოდგენილი ისეთ თემებზე, რაზეც სხვების კომენტარს ვერ ვხვდებით.
“ობიექტივის” საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის არ შუქდება სხვა პოლიტიკური პარტიების აქტივობა გარდა მმართველი პარტიისა. “ნაციონალურ მოძრაობასა” და “ევროპულ საქართველოს” არხზე უმეტესად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ, ტერმინით “საკაშვილ-ბოკერიები” ან როგორც დესტრუქციული ძალა და მათ შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში მუდმივად გვხვდება ეთიკური დარღვევები. მონიტოროინგის შედეგების მიხედვით შეიძება ითქვას, რომ ობიექტივი კვლავ რჩება “პატრიოტთა ალიანსის” მედია პლატფორმად. 13 აგვისტოს ეთერში გავიდა სიუჟეტი “პატრიოტთა ალინსის” მიერ ჩატარებული

პოლიტიკური პარტიების რეიტინგების წინასაარჩევნო კვლევის შესახებ და სადაც მანიპულაციურად მოხდა იმ კვლევითი ორგანიზაციების, IRI და NDI და „ედისონ რისერჩის“ სანდოობის ეჭქვეშ დაყენება, რომლებიც ასევეაქვეყნებენ წინასაარჩევნო კვლევებს, რადგან “პატრიოტთა ალიანსის’ კვლევის შედეგები არ დაემთხვა მათ კვლევებს. *„მხილებული სიცრუის გამო, საქართველოდან გაიწვიონ IRI-ის დირექტორი ჯონ დიპო, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა საქართველოში და უკვე ტყუილით დაიწყო თავის საქმიანობა. უნდა გაიწვიონ IRI-ის დირექტორი, ისევე როგორც, გაიწვიეს NDI-ის დირექტორი ლორა თორნტონი“ -- მიმართავს ობიექტივის ეთერიდან ირმა ინაშვილი აშშ -ს მთავრობას. ეს* მიმართვაც მანიპულაციურია, თითქოს ლორა თორდტონი იმიტომ გაიწვიეს, რომ მის მიერ ჩატარებული კვლევები აცდენილი იყო რეალობას.

“ობიექტივზე” ტრადიციულად, წელსაც არაერთხელ დაფიქსირდა ქსენოფობიური განცხადებების ტირაჟირება. ერთ -ერთი სიუჟეტი, **„თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია“** [19 აგვისტოს](#) გავიდა ეთერში. სადაც საუბარია აჭარაში თურქი ბიზნესმენების საკუთრებაში არსებულ კომერციულ ობიექტებზე. *„აჭარის რეგიონში კვების ობიექტები, ტრანსპორტი, სასტუმროები სუპერმარკეტების ქსელი, სამშენებლო ბიზნესი და სავაჭრო ცენტრები ყველაზე კარგად გამოხატავს თურქეთის პოლიტიკას ანუ ეკონომიკურ* ექსპანსიას“, --ამბობს ჟურნალისტი და გვთავაზობს კიდევ უფრო თურქოფობიურ კომენტარს ორგანიზაცია, „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“ დამფუძნებლისგან: *„თურქები ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენ არიან და იქნებიან. დღეს თურქები სალოცავი გაუხდენ უჭკუო ქართველებს, მამათ გაიხადეს მზრუნველად გაიხადეს. მაგრემ ეს დროებითია ისინი ისევ თავიანთ გადაწყვეტილებას რომ საქართველო თურქებისა იყოს, რომ ქართველები აღარ არსებობდნენ დედამიწაზე ამის მსურველი არიან.”*

მედია ვალდებულია არ მოახდინოს ქსენოფობიური განცხადებების ტირაჟირება. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს შესაძლოა მოხდეს განცხადების ეთერში გაშვება, თუმცა რედაქცია მას უნდა გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ქსენოფობიაა და მიუღებელია. „ობიექტივი“ ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა.

გენდერული სტერეოტიპები “ობიექტივზე”

მონიტორინგის პერიოდში “ობიექტივზე”-ზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გამოვლენილა.

მაესტრო

რაოდენობრივი შედეგები

„მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 9 საათზე.

„მაესტროს“ ეთერში ყველაზე მეტი დრო “ქართული ოცნების” გაშუქებას დაეთმო. ყველაზე დადებითად ასევე მთავრობა წარმოჩინდა, მისთვის დათმობილი დროის 9 % პოზიტიური იყო. ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი, მისთვის დათმობილი დროის 32 % ნეგატიური იყო.



შინაარსობრივი შედეგები

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალისტების ტონი ძირითადად ნეიტრალურია. არხზე არ გვხვდება სხვადასხვა აქტუალური საკითხების კრიტიკულად გაშუქების მცდელობები.

ტელეკომპანია უმეტეს დროს უთმობს მმართველი პარტიისა და მთავრობის პოზიტიურად გაშუქებას. საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად ვხვდებით სიუჟეტებს, სადაც მთავრობის წევრთა აქტივობებია გაშუქებული, -- ეს სხვადასხვა ცენტრების გახსნა, ახალი მანქანებით სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ავტოპარკის განახლება და ა.შ.

სამონიტორინგო პერიოდს დაემთხვა ოცნების მიერ მაჟორიტარი კანდიდატების დასახელება; 20 ივლისს არხმა დიდი დრო დაუთმო მაჟორიტართა წარდგენის ღონისძიების გაშუქებას და მომდევნო დღეებშიც გავიდა სიუჟეტები "ქართული ოცნების" მაჟორიტარებზე.

რჩება შთაბეჭდილება, რომ საინფორმაციო გადაცემებში ხელისუფლების დადებით ნაბიჯებზე ხდება მიზანმიმართულად ხაზგასმა. მაგალითად, 7 აგვისტოს გასულ 12 წელი აგვისტოს ომიდან - საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ 2008 წლის 5-დღიან ომს იხსენებენ - 16-წუთიან მასალაში მაესტრომ ოპოზიციას ჯამში მხოლოდ 24 წამი დაუთმო. სხვა რესპონდენტები დასავლელი პარტნიორები (ტვიტერზე გამოქვეყნებული განცხადებებით) და მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. მას შემდეგ, რაც 2008 წლის ომის შესახებ განცხადებები მიმოიხილა, არხმა მაყურებელს პრემიერმინისტრის და ჯანდაცვის მინისტრის კომენტარები შესთავაზა ადგილიდან, სადაც 250-ზე მეტ დევნილს მთავრობამ საცხოვრებელი ბინები გადასცა.

აშკარაა, „ქართული ოცნების" მიმართ შედარებით რბილი, ოპოზიციისდმი კი კრიტიკული დამოკიდებულება ჟურნალისტების მხრიდან. მაგალითად, 24 ივლისს გასული სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ ფრონტერა მთავრობას ადანაშაულებს დეზინფორმაციის გავრცელებში, თუმცა ამის შემდეგ 3 წუთიან სიუჟეტში ვხედავთ მხოლოდ პარლამენტის თავჯდომარისა და პრემიერი მინსიტრის კომენტარს და ვერ ვიგებთ რატომ ადანაშაულებს კომპანია დეზინმფორმაციაში მთავრობას. ასევე, 17 ივლისს მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე მომზადებულ სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ სააკაშვილი პირდაპირ ერევა საქართველოს შიდა პოლიტიკაში და ხაზს უსვამს მის თანამდებობას უკრაინაში. ენმ-ის მხოლოდ ერთი წევრის კომენტარია ფორმალური ბალანსისთვის წარმოდგენილი, მაშინ როცა ამავე სიუჟეტში ქართული ოცნების 4 წევრი საუბრობს სააკშვილზე და ენმ-ის მთავრობის დროინდელ საქმეებს იხსენებენ.

სამონიტორინგო პერიოდში გამოიკვეთა ქართული ოცნების წევრების, უფრო ხშირად გიორგი გახარიასა და ბიძინა ივანიშვილის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გაშუქებაზე თავის არიდების ტენდენცია, რაც გაშუქებული თემის გარშემო არასრული ინფორმაციის მოწოდებით ან თემის იგნორირებაში გამოიხატებოდა. ასეთი „სენსიტიურ" თემებად გამოჩნდა 20 -21 ივნისის დემონსტრაციის დაშლის და ამერიკელი კონგრესმენების მიერ ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა.

გამოიკვეთა, რომ ოპოზიციაზე ტელეარხი იმ შემთხვევაში საუბრობს, თუ საქმე ეხება პარტიებს შორის დაპირისპირებას - მაჟორიტარულ სიებზე ვერშეთანხმებას. ოპოზიციაზე

ძირითადად, ნეიტრალური ტონით ლაპარაკობს, თუმცა, თამამად მიუთითებს მათ შეცდომებზე.

გენდერული სტერეოტიპები "მაესტროზე"

გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდში გასულ სიუჟეტებში, რომელიც ეხებოდა გოგი თოფაძის შვილიშვილის დაჭრას, მომხდარი დანაშაული ქალისთვის დაბრალებას ჰქონდა ადგილი, რაც გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებას და დისკრიმინიაციის წახალისებას წარმოადგენს -- "დაპირისპირების სავარაუდო მიზეზი თოფაძეების ოჯახში სტუმრად მყოფი ქალია, რომელთანაც, როგორც ირკვევა, თოფაძე მეგობრობს, ჟვანიას კი წარსულში გარკვეული სახის ურთიერთობა ჰქონდა", ჟურნალისტი კი სიუჟეტში აღნიშნავდა. "თოფაძეების ოჯახში სისხლიანი გარჩევის მიზეზი, სავარაუდოდ, გოგონა გახდა, რომელიც თოფაძეებთან გვიან ღამით სტუმრად იმყოფებოდა", -განაცხადა წამყვანმაც 2 აგვისტოს მაესტროს ეთერში.